საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/ე

ქ.თბილისი

"16" იანვარი 2017 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სატენდერო კომისიისა და სატენდერო კომისიის აპარატის დამტკიცების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") მიერ, სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის, „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს სატენდერო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
ა) გიორგი ფრუიძე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე (კომისიის წევრი);
ბ) მერაბ ქათამაძე - სატენდერო კომისიის წევრი (კომისიის წევრი);
გ) ნათია დევდარიანი - სატენდერო კომისიის წევრი (კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი).
დ) დავით გოგიჩაიშვილი - სატენდერო კომისიის წევრი (კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის უფროსი);
ე) ალექსანდრე ღლონტი - სატენდერო კომისიის წევრი (კომისიის აპარატის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი);
ვ) ირინე ვერძეული - სატენდერო კომისიის წევრი (კომისიის აპარატის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამსახურის უფროსი);
ზ) პავლე ბერია - სატენდერო კომისიის წევრი (კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსის მ.შ);

2. სატენდერო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობა დაეკისროს სატენდერო კომისიის წევრ მერაბ ქათამაძეს.

3. სატენდერო კომისიის საქმიანობის ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნას სატენდერო კომისიის აპარატი შემდეგი შემადგენლობით:
ა) რევაზ მორგოშია - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი (კომისიის აპარატის ადმინისტრაციის სამეურნეო უზრუნველყოფის ჯგუფის უფროსი);
ბ) პავლე ანთელავა - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი (კომისიის აპარატის ადმინისტრაციის არასაშტატო სპეციალისტი - სატენდერო კომისიის მდივანი);
გ) არჩილ მაკარიძე - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი (კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი);
დ) იოსებ ბაღაშვილი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი (კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის მონიტორინგის წამყვანი სპეციალისტი);
ე) ნოდარ ასპანიძე - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი (კომისიის აპარატის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის მონიტორინგის ჯგუფის უფროსი);
ვ) დავით ქუთათელაძე - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი (კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიის დეპარტამენტის ინფრასტრუქტურისა და ქსელების მთავარი სპეციალისტი);
ზ) თამარ გოშუა - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი (კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის სპეციალისტი).

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად ახალი სატენდერო კომისიისა და სატენდერო კომისიის აპარატის შექმნის შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2015 წლის 20 მარტის N6/5 ბრძანება.

5. ბრძანება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6) ერთი თვის ვადაში.

7. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (ი. ხარებავა).

კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე